შეთანხმება N92/1
ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი''-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და შპს „გორო 2013“-ს შორის 2022 წლის 19 აპრილს გაფორმდა N92 ხელშეკრულება, ღირებულებით 18620.0 (თვრამეტიათასექვსასოცი) ლარი.

აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულია სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტების მოწოდება

ერთის მხრივ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ და შპს „გორო 2013“ წარმოდგენილი დირექტორის ზეინაბ უგრეხელიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და 2022 წლის 19 აპრილს გაფორმებული N92 ხელშეკრულების მე–14 მუხლის პირობებიდან გამომდინარე ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2022 წლის 19 აპრილის N92 ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კლასიფიკატორის კოდი შეიცვალოს და განისაზღვროს შემდეგნაირად: CPV-15800000 -სხვადასხვა საკვები პროდუქტები.
2. აღნიშნული შეთანხმების მოქმედება გავრცელდეს მხარეებს შორის 2022 წლის 22 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. ვალდებულებები, რომელთაც ეს შეთანხმება არ შეხებიათ, დარჩეს უცვლელად.
4. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.
5. ეს შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი.	მიმწოდებელი.
სსიპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“	შპს „გორო 2013“
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3	ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. N5
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259	საიდენტიფიკაციო კოდი: 419618337

მხარეთა ხელმოწერა

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი	შპს „გორო 2013“